

## როზეტა გუჯუჯიანი

### დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის (1852-1919) ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა

დეკანოზი ბესარიონ ნიჟარაძე მრავალმხრივი მოღვაწეა. ის გახლდათ სასულიერო პირი, მასწავლებელი, თარჯიმანი, მუშაობდა კანცელარიაში, ეძიებდა, იცავდა და იკვლევდა ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს (ჯვარ-ხატებს, საეკლესიო ნივთებს, ხელნაწერებს). უღრმავდებოდა სვანური მეტყველების თავისებურებებს, ყურადღებას ამახვილებდა სკოლებში ქართული ენის სწავლების აუცილებლობაზე და ეწინააღმდეგებოდა ქართველთა რუსიფიკაციის პროცესს. დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის დიდ დამსახურებათა შორის ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა.

დეკანოზ ბესარიონს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის განვითარების საქმეში. მის მიერ შეკრებილი და გაანალიზებული მასალა ერთ-ერთი ძვირფასი წყაროა ქართული ეთნოლოგიისათვის. ქართველთა ტრადიციული ყოფისა და კულტურის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის დეკანოზ ბესარიონის მიერ შეკრებილ ეთნოგრაფიულ მასალას. ეს ინფორმაცია მრავალმხრივ ფასეულია ჩვენს დროშიც და აქტიურად გამოიყენება ქართველთა უცხოელ ეთნოლოგთა მიერ.

#### დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები

დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები ჯერ კიდევ სრულად არ არის შესწავლილი და გამოვლენილი. მისი ბიოგრაფიის კვლევას დიდი ამაგი დასდო ეთნოლოგმა ალექსი რობაქიძემ (ა. რობაქიძე, 1962: 3-36).

ბესარიონ ნიჟარაძე დაიბადა ზემო სვანეთში უშგულის თემში, სიოშ ნიჟარაძის ოჯახში, 1852 წლის 21 ნოემბერს. ბესარიონი (ნათლობამდელი სახელით – გუა) აღიზარდა ტრადიციულ ქართულ ოჯახში. სადაც მიიღო საშინაო განათლება. შემდეგ კი მისი ცხოვრება შეიცვალა წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის დამსახურებით. ცნობილია, ამ დიდმა მოღვაწემ სვანეთში ორჯერ იმოგზაურა. პირველი მოგზაურობა (1866 წელი) შემდეგ (გაბრიელ ეპისკოპოსი, 1867) იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა „ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას“ სვანეთის მოწაფეებისათვის შვიდი სტიპენდია დაანიშნინა. ერთ-ერთი სტიპენდიანტი გახდა ბესარიონი და ის ჩაირიცხა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში (1869-1874 წწ.).

1874 წელს ბესარიონი სწავლას აგრძელებს თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც ის სწავლობდა 1878 წლამდე, რა დროსაც ავად გახდა და იძულებული შეიქნა, სწავლა შეეწყვიტა. სემინარიაში სწავლის დროს ბესარიონი დაუშვებლად ნიკო ხიზანიშვილ-ურბნელს, იონა მეუნარგიას, სოფრომ მგალობლიშვილს, თედო ეორდანიას და სხვებს.

1878 წლიდან ბესარიონ ნიჟარაძე სვანეთის უბრუნდება. 1878-1883 წლებში მუშაობს სვანეთის საბოქაულოში საქმის მწარმოებლად. 1883 წელს ბესარიონს გზავნიან ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებელში და აქ ის მასწავლებლად მუშაობს 1892 წლამდე.

1891 წელს ბესარიონ ნიჟარაძე დაქორწინდა ალექსანდრა პავლეს ასულ ნორაკიძეზე. ახალდაქორწინებულები გაემგზავრნენ სვანეთში იფარის თემში. სადაც ბესარიონი მასწავლებლად იყო დანიშნული.

1892 წელს ბესარიონის ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. - ის სასულიერო პირი ხდება: ამ წელს სვანეთში იმოგზაურა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა და მან ბესარიონი მღვდლად აკურთხა. მამა ბესარიონი თვდაპირველად სასულიერო მოღვაწეობას იწყებს იფარის წმიდა გიორგის ეკლესიაში, შემდეგ ის გადააყვავთ მესტიის წმიდა გიორგის ტაძარში. მღვდლობის პარალელურად მამა ბესარიონი უწყვეტად ზრუნავდა სვანეთის მოსახლეობის წიგნიერების დონის ამაღლებისთვის, ასწავლიდა ბავშვებს, დადიოდა სხვადასხვა თემში და კრებდა სიძველეებს, იწერდა ეთნოგრაფიულ მასალას.

ბესარიონს ჰყავდა სამი შვილი, რომელთაც მამამ კარგი განათლება მიაღებინა. ბესარიონი ადრე დაქვრივდა მან თავისი ცხოვრების ბოლო მეოთხედი სვანეთში გაატარა.

დეკანოზი ბესარიონი გარდაიცვალა 1919 წელს. დაკრძალულია უშგულის ღვთისმშობლის ეკლესიის („ლამარია“) გალავანს შიგნით. დეკანოზ ბესარიონის გარდაცვალება დიდი დანაკლისი იყო საქართველოსათვის. 11 მაისს თბილისის საზოგადოებამ დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის პანაშვიდი გადაიხადა ქაშვეთის ეკლესიაში.

დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის მიერ პრესაში დაბეჭდილ ეთნოგრაფიულ წერილთა ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია ცალკე კრებულებად. 1962 და 1964 წლებში გამოქვეყნდა ბესარიონ ნიჟარაძის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილების ორტომეული. გამოცემის რედაქტორია ცნობილი ეთნოლოგი ალექსი რობაქიძე. ალექსი რობაქიძეს დიდი წვლილი მიუძღვის დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის ღვაწლის გამოვლენისა და შესწავლის საქმეში. ამ მხრივ აღსანიშნავია სამართლის ისტორიკოსის, ივანე სურგულაძისა და ეთნოლოგ რუსუდან ხარაძის ღვაწლიც (ბ. ნიჟარაძე, 1962).

ბესარიონ ნიჟარაძის რამდენიმე წერილი შესულია 1973 წელს გამოქვეყნებულ კრებულში „ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე“ (ეთნოგრაფიული, 1973). ღირსეული წინაპრის სახელის უკვდავყოფას და მისი მეცნიერული შემოქმედების პოპულარიზაციას დიდი ამაგი დასდო ენათმეცნიერმა ლელა ნიჟარაძემ. წინამდებარე სტატია ეძღვნება დეკანოზ ბესარიონის სამეცნიერო ღვაწლს, მისი პუბლიკაციების მნიშვნელობას საქართველოს ეთნოლოგიისათვის.

დეკანოზი ბესარიონ ნიჟარაძე თანამშრომლობდა თბილისსა და ქუთაისში გამომაველ ეროვნულ-საგანმანათლებლო მიმართულების გაზეთებთან. მისი წერილები გამოქვეყნებულია პერიოდულ გამოცემებში: „ივერია“, „დროება“, „ცნობის ფურცელი“, „შინაური საქმეები“, „შრომა“ და სხვ.

### დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის ეთნოგრაფიული ღვაწლი

ბესარიონ ნიჟარაძემ ჯერ კიდევ ერისკაცად ყოფნის დროს დაიწყო პუბლიცისტური მოღვაწეობა (1873 წელი). მისი პირველივე წერილები ეთნოგრაფიულ მასალას შეიცავს და დიდი მნიშვნელობისაა მეცნიერებისათვის -- უძვირფასესი წყაროა საქართველოს მთიელთა ისტორიის, ყოფა-ცხოვრების, რელიგიის, სოციალური ურთიერთობების, სამართლის, კულტურულ-სამეურნეო ტიპის შესწავლისათვის.

დეკანოზ ბესარიონის ზოგიერთ სტატიას სამწერლობო ფსევდონიმებით აქვეყნებდა. მის ფსევდონიმთაგან ყველაზე უფრო გავრცელებულია „თავისუფალი სვანი“. ის, აგრეთვე, იყენებდა სხვა ფსევდონიმებსაც: „ბ.თ. სვანი“, „თ. სვანი“, „ბეტა-ნი“, „სვანი“, „თ-ი სვანი“, „ბ. სვანი“, „ბეს. სვანი“. ზოგჯერ აწერდა საკუთარ გვარ-სახელსაც: ბეს. ნიჟარაძე, ბესარიონ ნიჟარაძე.

ბესარიონ ნიჟარაძის ეთნოგრაფიული შინაარსის წერილები თემატურად მრავალფეროვანია. იგი აღწერს სვანეთის ტრადიციულ ყოფას: ხალხურ რწმენა-წარმოდგენებს, დღეობებს, რიტუალებს, საოჯახო ურთიერთობებს, ნათესაობის ფორმებს, ეტიკეტს, ჩვეულებითი სამართლის ნორმებს, სამართალწარმოების პროცესს, სასოფლო თემსა და ხალხური მმართველობის ფორმებს, სამეურნეო საქმიანობას, ხალხურ მედიცინას და სხვ.

სწავლული ყურადღებას აქცევს სვანეთის მოსახლეობის სოციალურ პრობლემატიკას: სიღარიბეს, უგზობას, უექიმობას, განათლების ნაკლებობას. შეიძლება ითქვას, რომ დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა მოიცავს ქართველ მთიელთა (სვანთა) სულიერი, სოციალური და მატერიალური ყოფის თითქმის ყოველი სეგმენტის აღწერილობას. ამავე დროს, დეკანოზი ბესარიონი მოგვითხრობს ისტორიულ ამბებსაც. სვანეთის ისტორიის ზოგიერთი მომენტი მხოლოდ დეკანოზ ბესარიონის აღწერით არის ჩვენთვის ცნობილი. ამ მხრივ საყურადღებოა ხალდეს აჯანყების ისტორია, ჩრდილოეთ კავკასიაში თავად დაღეშქელიანთა კუთვნილი ტერიტორიების გეოგრაფიული საზღვრები და მახასიათებლები. სვანეთიდან რაჭა-ლეჩხუმში მიმავალი ბილიკების აღწერილობა და იქაური ტოპონიმებისა და გადმოცემების ამსახველი მასალა, ბერი თეოფანეს (კორძია) ბიოგრაფია და სხვ.

ცნობილია, რომ ეთნოლოგია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, დოკუმენტების ანალიზთან ერთად, ფართოდ იყენებს კვლევის ეთნოგრაფიულ მეთოდებს. მათ შორის სავსე კვლევას. დეკანოზი ბესარიონ ნიჟარაძე ერთ-ერთი პირველი ეთნოგრაფია, რასაკვირველია, იმ წლების საქართველოში ეთნოლოგია ცალკე სამეცნიერო დისციპლინად ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული, მაგრამ ილია ჭავჭავაძის მოწოდებით საქართველოს სხვადასხვა მხარეში მცხოვრები წიგნიერი ქართველები აგროვებდნენ ადგილობრივ ლეგენდებს, გადმოცემებს, ტოპონიმებს. შეკრებილ ინფორმაციას კი „ივერიაში“, „დროებაში“ და სხვა გაზეთებში აქვეყნებდნენ. ქართული ტრადიციული ყოფის ამსახველი ინფორმაციის შემკრები ბესარიონ ნიჟარაძე, ჩვენდა გასაკვირად, უკვე იმ წლებში იყენებს მეთოდს, რომელიც მეცნიერებაში ბევრად გვიან იქმნება და „მკიდრო აღწერილობის მეთოდი“ ჰქვია. მისი წერილები სავსე კვლევას ეყრდნობა და მკიდრო აღწერილობის მეთოდის მსგავსად დეკანოზ ბესარიონის

წერილების განსაკუთრებულ მნიშვნელობას სწორედ ეს ფაქტი განაპირობებს: ავტორი საკუთარი თვლით ნანახს და მრავალჯერ გაანალიზებულ ეთნოგრაფიულ რეალიებს აღწერს, ავლენს დეტალურ მასალასაც და ხშირ შემთხვევაში აანალიზებს კიდევ ინფორმაციას.

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში, როდესაც დეკანოზი ბესარიონი სვანეთის ტრადიციულ ყოფას იკვლევდა, მეცნიერებაში გაბატონებული იყო კვლევის ისტორიულ-შედარებითი მეთოდოლოგია და გადმონაშთების თეორია. ამიტომ დეკანოზ ბესარიონის ეთნოგრაფიული თხზულებების თეორიული ამოსავალი სწორედ ეს ორი მეთოდი ხდება. რაც ზოგჯერ სქემატურობის დაღს ასვამს მის ნაწერებს. მაგრამ ბესარიონი გამონაკლისი არაა და ქართული ტრადიციული საზოგადოების ჩასმა განვითარების ადრეულ საფეხურზე მყოფი ჯგუფებისათვის დამახასიათებელ სოციალურ ჩარჩოებში, იმდროინდელ მეცნიერებაში ლამის ერთადერთ მართებულ ხედვად იყო მიჩნეული. ისტორიულ-შედარებითი სკოლის ცნობილი წარმომადგენლის, სამართალმკოდნე მაქსიმ კოვალევსკისეული სქემები და მიდგომები განსაკუთრებით შესამჩევია სვანეთის სასოფლო თემის, ხალხური თვითმმართველობის ფორმების აღწერისას („სასოფლო ყრილობა და მისი უფლება, საერთო კავშირი ყველა საზოგადოებათა“) (ბ. ნიჟარაძე, 1962); მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ამგვარი თეორიული ამოსავალი სრულიადაც არ აკნინებს ბესარიონ ნიჟარაძის მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალის მნიშვნელობას. ეს ტექსტები უძვირფასესი წყაროა ტრადიციული ქართული კულტურის შესწავლისათვის და მეორეული ანალიზი მხოლოდ ამა თუ იმ სოციალური ინსტიტუტის ან რწმენა-წარმოდგენის განხილვის დროს არის აუცილებელი.

### დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის ეთნოგრაფიული წერილების თემატური ტიპოლოგია:

ა) წერილთა ნაწილი ასახავს სვანეთის ყოველდღიურ ყოფას, მათში აღწერილია სვანეთის ამბები, სიბღბეები, დიდთოვლობით, უამინდობით, გვალვით, უგზობობით, უექიმობით, სკოლების არქონით გამოწვეული პრობლემები („უშგულის აღწერა“, „ქართული ენის გავრცელება სვანეთში“, „სახაზინო გლეხნი არიან თუ არა მესაკუთრენი თავისუფალის სვანეთისა“, „სვანები ბარად“, „ხმა სვანეთიდგან“...).

ბ) წერილთა მეორე ჯგუფი მნიშვნელოვანია ქართული ჩვეულებითი სამართლის სრული სურათის რეკონსტრუირებისათვის. დეკანოზი ბესარიონი დეტალურად აღწერს სვანეთის ჩვეულებით სამართლს, მის ყველა კომპონენტს, სამართალწარმოების ეტაპებს და შინაარსს. ის ხშირად თანამონაწილევსაა ამა თუ იმ სამართლებრივი შინაარსის დავის განხილვისა. დეკანოზი ყურადღებას ამახვილებს სვანეთის სოციალურ ყოფაზე, აღწერს ტიპურ ოჯახს, საოჯახო ურთიერთობებს, ოჯახის წევრთა უფლება-მოვალეობებს, ურთიერთობების ეტიკეტს, ნათესაობის სისტემებს, სოფლისა და თემის ურთიერთმმართველისა და სოციალური სოლიდარობის ფორმებს. უმნიშვნელოვანესია დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის დაკვირვება, რომ სვანეთის საოჯახო ყოფის მარყვულირებელი მექანიზმი სვანური ჩვეულებითი სამართალია, რომელიც, ბუნებრივია, მემკვიდრეა

ძველი ქართული საყრო სამარტლისა და მისი ნაზავია კანონიკურ სამართალთან („ცოლ-ქმრობის წესები სვანეთში“, „ჩვეულებრივი უფლება სვანეთში“).

გ) ცალკე უნდა აღინიშნოს დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის ის წერილები, რომლებშიც აღწერილია სვანეთის მოსახლეობის ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები, ტრადიციულ ყოფაში არსებული სინკრეტული ან პაგანიზებული დღესასწაულები, ხალხური დღეობები ავტორს დაყოფილი აქვს კალენდარულად, წლიური კალენდარული ციკლის მიხედვით. იგი ყურადღებით აკვირდება დღეობის ყოველ დეტალს და მოგვითხრობს მათ სულიერ შიანაარსსა და გამოხატვის ფორმებზე („სახალხო დღესასწაულები სვანეთში ზამთრობით (შობა-ახალწელიწადი, „ლიფანააღ“, ლიმპარი და ლიქერაში (ლამპრობა და უძღების კვირე)“, „სახალხო დღესასწაულები სვანეთში გაზაფხულ-ზაფხულობით და შემოდგომით“). უაღრესად ფასეულია დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის მიერ აღწერილი სვანური გადმოცემები, რომლებშიც უძველესი ქართული აზროვნების ელემენტები იხატება: კომოგონიური ლეგენდები, შესაქმის თემა, ავი სულების ბრძოლა კეთილთან და სხვ. („სვანური ლეგენდები ანუ სვანების ამოდ-მორწმუნებანი (ქვეყნის წექმნა, სამოელი, მზე და მთვარე, სეტყვა, ქუხილი, წვიმა და თოვლი, ყვავილი და წითელა, ამირანი, როსტომ ჭაბუკი“). დეკანოზი ყურადღებით იწერდა სვანების დამოკიდებულებას სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემისადმი, მნიშვნელოვანია სვანის თვალთ დანახული იმქვეყნიური სამყარო და თვალსაჩინოა, რომ ხალხური აღქმის ძირითადი მოტივები ბიბლიური და სახარებისეული ცოდნითაა განპირობებული („სვანების საიქიო“). საყურადღებოა და ინფორმაციულად ტყეადი დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის წერილი კალის წმიდა კვირკეს მონასტრია შესახებ.

დ) სვანეთის მოსახლეობის ისტორიული მეხსიერების შესწავლის კუთხით უდიდესი მნიშვნელობისაა ავტორის მიერ ჩაწერილი ლეგენდა-გადმოცემები წმიდა თამარ მეფის შესახებ. ამ მასალით ვლინდება სვანეთის მკვიდრთა მენტალობის ერთი მახასიათებელი - თამარ მეფე სვანებისათვის საქართველოს ძლიერების სიმბოლოა და ეს თემა მუდმივად მოქმედებს მათში ისტორიის რეპრეზენტაციის უძლიერეს სეგმენტად („თამარ-დედოფალი“).

ე) უძვირფასეს ეთნოგრაფიულ ცნობებს შეიცავს დეკანოზ ბესარიონის წერილი „ოთხი დღე მდ. ენგურის, ცხენისწყლის და რიონის სათავეებში“. ამ წერილში აღწერილი მარშრუტი სწავლულმა თავად გაიარა და დეტალური ინფორმაციაც დაგვიტოვა.

ვ) სწავლული ყურადღებას ამხვილებს ტრადიციულ მედიცინაზეც („მდაბიო ხალხის მკურნალობა სვანეთში“), ხალხურ შელოცვებზე, საბავშვო თამაშობებზეც („ზოგიერთი საყმაწვილო თამაშობანი სვანეთში“) და სხვ.

დეკანოზი ბესარიონის წერილები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეთნოლოგებისათვის, არამედ მისი სტატეების ერთი ნაწილი საისტორიო წყაროცაა, რადგან ავტორი მოგვითხრობს სვანეთის კონკრეტულ ისტორიას, მაგალითად, თუ როგორ ცდილობდა რუსეთის იმპერია სვანეთის მიმხრობას და მის „ნებაყოფლობით“ შეყრთებას რუსეთთან („ვინ მიიყვანა 1852 წ. შვიდი სვანი ბორჯომს მთავარმართებელ თავ. ვორონცოვთან?“); როგორ აჯანყდნენ სვანები რუსეთის წინააღმდეგ, იგი ხომ მონაწილე და თვითმხილველია სვანეთის

1875-1876 წლების აჯანყებისა, როდესაც ერთი პატარა სოფელი – ხალდე – დაუპირისპირდა რუსეთის უზარამაზარ იმპერიას და თავგანწირვის საოცარი მაგალითი აჩვენა („სვანების აღელვება 1875-1876 წლებში“). საყურადღებოა ბესარიონის მიერ აღწერილი სიუჟეტები რუსეთის იმპერიის მოხელეების მიერ ახალი რუკების შედგენისა კავკასიონის ქედზე. ფიქსირდება სანდო ინფორმაცია სვანეთის სამთავროს კუთვნილი მიწების შესახებ კავკასიონის ქედს გადაღმა („იალბუზის გარშემო (დღიურიდან)“ საინტერესოა დეკანოზ ბესარიონის ერთი მოკლე წერილიც, რომელშიც განხილულია ტოპონიმი „თუშრე ნალზიგვ“ – „თუშების ნაცხოვრები“ – ადგილობრივი გადმოცემის საფუძველზე („თუშები“) და სხვ. ბევრ ინფორმაციას გვაწვდის თავად დადემშქელიანთა შესახებ, მაგალითად, მოგვითხრობს კნენინა ეკატერინე დადემშქელიანი-ანჩაბაძის გარდაცვალებისა და დაკრძალვის ამბავს, ხოლო წლების შემდეგ თავად თენგიზ დადემშქელიანის გარდაცვალებისა და დაკრძალვის ამბავს; ოთარ დადემშქელიანის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ისტორიას. ფრიად მნიშვნელოვანია დეკანოზ ბესარიონის მერ აღწერილი ისტორია თავად თათარყან დადემშქელიანის მიერ სვანეთის ღარიბი მოსახლეობისათვის გაწეული დახმარების შესახებ და სხვ.

ბესარიონ ნიჟარაძის მოღვაწეობის სპექტრი ფართოა და ის გადაწვდა ლინგვისტურ კვლევებსაც. მან შეადგინა სვანური ლექსიკონი. სვანური ამ დიდ მოღვაწეს საერთოქართულის ნაირსახეობად და უძველეს ფორმად მიაჩნდა და აუცილებლად თვლიდა მის დაცვას და გალარობებულ ქართული ენის შევსებას სვანურში შემონახული უძველესი ფუძეებით. დეკანოზი ბესარიონი აქვეყნებს კრიტიკულ წერილს 1864 წელს გამოცემული „ლუშნუ ანბანის“ (სვანური ანბანი) შესახებ, რადგანაც ეს წიგნი რუსეთის იმპერიის მიერ შექმნილი იყო ერთიანი ქართული ეროვნული სხეულის დანაწევრების მიზნით. დეკანოზი ბესარიონი აკრიტიკებს ამ სახელმძღვანელოს ზოგად არსს და მის ცალკეულ კომპონენტებსაც. საბოლოოდ კი დაასკვნის: „წიგნი შეცდომებით არის სავსე თავიდან ბოლომდე. სკოლებში მისი ხმარება ნამდვილს ვნებას მოუტანს სვანების სარწმუნოებრივსა და ზნეობრივს აღზრდას“.

დეკანოზ ბესარიონის პუბლიცისტიკის ერთი ნაწილი, რომელიც გაზეთში „შინაური საქმეები“ ქვეყნდებოდა, შედარებით უცნობია არათუ ფართო საზოგადოებისათვის, არამედ სპეციალისტებისთვისაც კი, რადგან ეს გამოცემა საბჭოთა პერიოდში აკრძალული იყო და საცავებში ინახებოდა. გაზეთის რედაქტორი გახლდათ სვიმონ მჭედლიძე, შემდგომში – ახალმოწამე წმინდანი. ამ გაზეთში დეკანოზ ბესარიონის არაერთი წერილია დაბეჭდილი. აღვნიშნავ რამდენიმეს: ფაქტობრივი მასალის საფუძველზე დეკანოზ ბესარიონს შედგენილი აქვს მეცხრამეტე საუკუნის სვანეთის სამღვდელოების სია და ბიოგრაფიები („სვანეთის სამღვდელოება, რუსის მთავრობის მიერ დანიშნული“). მნიშვნელოვანია დეკანოზ ბესარიონის წერილი, რომელშიც აღწერილია წვირმის თემში მცხოვრები ბერ-მონაზონ თეოფანეს (კორძაია) მოღვაწეობა და სხვ. ამავე გაზეთში გამოქვეყნებულია დეკანოზი ბესარიონის შესანიშნავი წერილი „სვანეთის ეკლესიათა ხატ-ჯვარი“, რომელშიც საუბარია სვანეთის (ზემო) 62 ეკლესიის საეკლესიო საგანძურზე.

დეკანოზი ბესარიონი იყო მასპინძელი და გულშემატკივარი სვანეთის ყველა სტუმრისა, მათ შორის მეცნიერებისა თუ უბრალოდ მოგზაურებისა. მისი დახმარებითა და მხარდაჭერით სარგებლობდა ყველა მკვლევარი. სვანეთის კულტურით დაინტერესებულ მეცნიერთა მოგონებებსა და პუბლიკაციებში საუბარია დეკანოზ ბესარიონის ღვაწლსა და კეთილგანწყობაზე. დეკანოზ ბესარიონს ემადლიერებიან: ცნობილი არქეოლოგი პრასკოვია უვაროვა, მღვდელი პოლიევქტოს კარბელაშვილი და ზაქარია ფალიაშვილი (1903 წელი), ექვთიმე თაყაიშვილი (1910 წელი), კორნელი კეკელიძე (1911 წელი) და სხვები. სწორედ დეკანოზ ბესარიონის დახმარებით აღწერა ექვთიმე თაყაიშვილმა სვანეთში დაცული 15 ხელნაწერი, მათ შორის, სრულიად უნიკალური ძეგლი – „დიდი კანონი იერუსალიმის ეკლესიისა“ და აღიშის ოთხთავი. მამა ბესარიონი მასპინძლობდა ნიკო მარა, მიმოწერა ჰქონდა რაფიელ ერისთავთან, დავით კარიჭაშვილთან, ალექსანდრე ცაგარელთან და სხვ.

დეკანოზი ბესარიონი დიდი დახმარებას უწევდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“. 1907 წელს დეკანოზი ბესარიონი არჩეულ იქნა (გრიგოლ დიასამიძისა და სერგო გორგაძის წინადადებით) საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ნამდვილ წევრად.

დეკანოზი ბესარიონი იყო სასულიერო პირი და ასრულებდა რა ამ უდიდეს მისიას, ამავე დროს გახლდათ სვანეთის სიძველეთა მცოდნე და შემნახველი, არაერთი ხელნაწერისა და საეკლესიო სიწმინდის გადამრჩენი, ეთნოგრაფი, საზოგადო მოღვაწე, მასწავლებელი. გულშემატკივარი მრავალჭირნახული საქართველოსი, მოამაგე სვანეთისა. უკვდავია მისი სახელი, როგორც მოღვაწისა და როგორც მეცნიერისა. მის მეცნიერულ მემკვიდრეობას სწავლობენ უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებში. დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის ეთნოგრაფიული წერილები დღითიდღე იძენს მნიშვნელობას გლობალური პროცესების ფონზე.

#### დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

აღ. რობაქიძე, 1962 – აღ. რობაქიძე, ბესარიონ ნიჟარაძე, – წიგნში: ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. I, თბ., 1962.

გაბრიელ ეპისკოპოსი, 1867 – Православие на Кавказе, Обзорение сванетских приходов. Из Записок преосвященного Гавриила епископа имеретинского. Из журнала Православное Обзорение. январь. М., 1867.

ეთნოგრაფიული, 1973 – ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, თბ., 1973.

ბ. ნიჟარაძე, 1962 – ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. I, თბ., 1962.

ბ. ნიჟარაძე, 1964 – ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. II, თბ., 1964.

გაზ. დროება, 4 ოქტომბერი, 1879.

გაზ. დროება, №8, 11 იანვარი, 1880.

გაზ. დროება, №96, 8 მაისი, 1885.

- გაზ. დროება, №38, 19 თებერვალი, 1885.  
 გაზ. ივერია, №215, 7 ოქტომბერი, 1886; №219, 11 დეკემბერი, 1886.  
 გაზ. ივერია, №6, 1 სექტემბერი, 1891  
 გაზ. ივერია, №281, 29 დეკემბერი, 1895.  
 გაზ. ივერია, №142, 6 ივლისი, 1894.  
 გაზ. შინაური საქმეები, №26, 1911.  
 გაზ. შინაური საქმეები, №16-17, 1913.  
 გაზ. შინაური საქმეები, №18-19, 1913.

## ROZETA GUJEJANI

### ETHNOGRAPHIC LEGACY OF ARCHPRIEST BESARION NIZHARADZE (1852-1919)

The article presents the key aspects of Archpriest Besarion Nizharadze's accomplished life. He was a clergyman, teacher and translator; worked at the chancellery, pursued his research, investigated and protected the monuments of Georgian cultural heritage (crosses, icons, liturgical items and manuscripts), studied the specificities of the Svan idiom, stressed the importance of teaching of the Georgian language in schools, and strongly opposed the Russianization process in Georgia. Archpriest Besarion Nizharadze's ethnographic legacy deserves special mention among his great accomplishments. The article analyzes the importance of Archpriest Besarion Nizharadze's ethnographic legacy for the field of ethnology.

Archpriest B. Nizharadze's contribution to ethnography is important for the following sub-fields: the history, way of life, religion, social relations, law, and cultural and economic type of the Georgian mountain dwellers; also, specifying biographical data of local figures, and finding, defending and studying of the antiquities.

B. Nizharadze's ethnographic essays are thematically diverse. He describes the Svanetian traditional way of life: folk beliefs, holidays, rituals, domestic relations, forms of kin, etiquette, norms of the custom law, legal process, rural community, forms of popular governance, economic activities, folk medicine, etc.

The scholar put special emphasis on social problems of the Svaneti population, namely, poverty, lack of roads, lack of doctors and opportunities for education. It could be claimed that Archpriest Besarion Nizharadze's ethnographic legacy includes a description of almost every aspect of spiritual, social and material life of the Georgian mountain dwellers (Svans).